დინამოელები კვლავ აგებენ

მოსკოვი. (ტელეფონით).

5 სექტემბერს შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში “ა” კლასის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბი და თბილისის “დინამო”.

წინა მატჩთან შედარებით თბილისელები გაძლიერებული შემადგენლობით გამოვიდნენ მინდორზე. თავიანთ ადგილებზე თამაშობდნენ ძიაპშპა, ხოჭოლავა. თავდასხმის ცენტრად გამოვიდა ზაზროშვილი, ხოლო ჭკუასელი გადაყვანილ იქნა მარცხენა გარემარბად.

მიუხედავად ამისა, დინამოელებმა ეს მატჩი მეტად დაბალ დონეზე ჩაატარეს, განსაკუთრებით თავდასხმაში. ფორვარდები თამაშობდნენ შეჯგუფებულად, ქაოტურად, მათ არ გაუთამაშებიათ თითქმის არც ერთი დასრულებული, გეგმიანი კომბინაცია. არმიელთა მცველები ადვილად ერკვეოდნენ მათ მოქმედებაში და საკმაოდ იოლად იგერიებდნენ მოწინააღმდეგის მცირერიცხოვან იერიშებს.

ანგარიში გაიხსნა 28–ე წუთზე. ბუზუნოვმა შორიდან წამოიღო ბურთი, დრიბლინგით აუარა რამდენიმე მცველს და ძლიერი დარტყმით გაიტანა პირველი გოლი.

ამის შემდეგ მოსკოველთა უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა გახდა. მალე მათი ერთ–ერთი შეტევა დამთავრდა მეორე გოლით “დინამოს” კარში (იგი კვლავ ბუზუნოვმა გაიტანა).

შესვენების შემდეგ თბილისელებმა საგრძნობლად გამოასწორეს თამაში, მაგრამ ცვლილების შეტანა ანგარიშში ვერ მოახერხეს.

მატჩი მოიგო თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდმა ანგარიშით – 2:0.

“ლელო”, 8 სექტემბერი, 1957 წ.